ოლივერ უორდროპის ქართული დიპლომატია

პრესრელიზი

23 მაისს, 18:30 საათზე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართება საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, პანელური დისკუსია „ოლივერ უორდროპის ქართული დიპლომატია“. ამ აქტივობით, ერთი მხრივ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიაში უორდროპების (განსაკუთრებით კი ოლივერ უორდროპის) გამორჩეულ ღვაწლზე გამახვილდება ყურადღება, მეორე მხრივ კი, 26 მაისის მნიშვნელობას გაესმება ხაზი.

დისკუსიაში ჩართულები არიან: ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციიდან როგორც თბილისის ასევე რეგიონების პედაგოგები, სხვადასხვა საჯარო სკოლის 100-მდე მოსწავლე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიკოსთა კლუბის წევრი და თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები.

მონაწილეებს საშუალება ექნებათ მოისმინონ ისტორიკოსის, მაუნტ ჰოლიოკის კოლეჯის პროფესორის სტივენ ჯონსისა და ქართველი გამორჩეული ისტორიკოსების ბექა კობახიძის, მიხეილ ბახტაძის, დიმიტრი სილაქაძისა და ირაკლი ხვადაგიანის მოსაზრებები.

სადისკუსიო შეხვედრის ფორმატის მიზანია, რომ მოსწავლეებმა, სტუდენტებმა და საქართველოს ისტორიის ახალი და უახლესი ისტორიის მკვლევრებმა შეძლონ მოსაზრებებისა და ხედვების გაცვლა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის ერთ-ერთი საკვანძო ადგილი, სადაც სტუდენტებსა და მოსწავლეებს მუდმივად ეძლევათ საშუალება შეხვდნენ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მეცნიერებს და მათგან მოისმინონ საინტერესო თემების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული ღონისძიება კი ამ ფაქტის ნათელი მაგალითია.

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაბიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი,

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 577 977 199

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Mariam.jabidze@manuscript.ge

Web: www.manuscript.ge